

„ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“

პროექტს „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“ საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS/EPER -ის ფინანსური მხარდაჭერით პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად უკვე 10 წელია ახორციელებს.

2007 წელს, ფონდმა, სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით, სომხურ არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკთან“ ერთად დაიწყო პროექტი: „საზაფხულო ბანაკები სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოზარდებისთვის,“ რომელიც ითვალისწინებდა სომეხი და ქართველი ახალგაზრდების აქტიურ დასვენებას საქართველოსა და სომხეთში. 2012 წლიდან პროექტს ა(ა)იპ მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელი და აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი შეუერთდა. 2014 წლიდან კი ოთხივე ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელება დაიწყო ახალმა ფაზამ: „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“, რომლის მიზანია ახალგაზრდებს შორის კულტურათა ურთიერთგაცვლა, კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევების გაცნობა, ტოლერანტობისა და მეგობრული გრძნობების გაღვივება. პროექტის მთავარი კომპონენტია საზაფხულო ბანაკების მოწყობა 16-დან 18 წლამდე ასაკის ქართველი, აფხაზი, სომეხი და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოზარდებისთვის, რომელიც ორ ეტაპად საქართველოსა და სომხეთში ეწყობა. ახალგაზრდული გაცვლითი ბანაკების პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა: სესიები კონფლიქტების მედიაციასა და ტრანსფორმაციაში, ფილმის ჩვენება კონფლიქტების თემაზე და დისკუსიები, უცხო ენის მოკლე კურსები, სპორტული, კულტურული და ინტელექტუალური ღონისძიებები, თემატური საღამოები და ა.შ.

ასევე, პროექტის ფარგლებში, წლის განმავლობაში იმართება სამშვიდობო შინაარსის აქტივობები (გამოფენები, ტრენინგები, კონფერენციები, სემინარები, ფლეშ მობი, ფილმების ჩვენება და სხვა).

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტმა არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინფორმაციული და კულტურული გაცვლების, სტეროტიპების დაძლევისა და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მიმართულებით.